# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02-60

ქ. თბილისი 22 თებერვალი, 2012 წ.

ერთის მხრივ სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი წარმომადგენლის, სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ნინო ინწკირველის და მეორეს მხრივ შპს ,,ფორმატი'' (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ვახტანგ გუგუნაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, №SPA120002460 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ'' ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6 თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია, შემსყიდველის მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლებით, საკანცელარიო საქონლის (CPV–30100000) სახელმწიფო შესყიდვა, დანართი №1–ის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2 ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
ბ) ფასების ცხრილი (დანართი №1);

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 40072,30 (ორმოცი ათას სამოცდათორმეტი ლარი და 30 თეთრი) ლარს, ყველა ხარჯის (ტრანსპორტირება და ა.შ) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებს.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

**4.1.** მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში სრულად მიაწოდოს წერილიობითი მოთხოვნით განსაზღვრული საკანცელარიო საქონელი.

ბ) უზრუნველყოს საკანცელარიო საქონელის შესაბამისობა მის მიერვე წარდგენილ ნიმუშებთან და შემსყიდველის ტექნიკური დავალებასთან;

გ) მოახდინოს შემსყიდველის მიერ წუნდებული საკანცელარიო საქონელის ჩანაცვლება მის მიერვე წარდგენილი ნიმუშების და შემსყიდველის ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული შესაბამისი საკანცელარიო საქონელით;

დ) განახორციელოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

ე) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ვ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოოს წერილობით;

ზ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

თ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

**4.2** შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს მისთვის მიწოდებული საქონელის ინსპექტირება და დაადგინოს წარმოდგენილ ნიმუშებთან შესაბამისობა;

ბ) აანაზღაუროს მისთვის წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მოწოდებული საკანცელარიო საქონელის ღირებულება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი მანანა ბასილაშვილი, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესრულების

კონტროლს განახორციელებს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ნათია ხუჯაძე.

5.2 საქონლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

5.3 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდების ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი ნებისმიერ დროს.

## 6. შეფუთვა

6.1 მოსაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს მიმწოდებლის შეხედულებისამებრ ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტრანსპორტირებისას მოსალოდნელი დაზიანებები.

## 7. საქონლის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

7.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.

7.2 მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. #67ა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცენტრალური ოფისის საწყობი;

7.3 მისაწოდებელი საქონელი შემსყიდველს ბარდება მუხლი 6.1–ით გათვალისწინებულ შეფუთულ მდგომარეობაში.

7.4 მიწოდებულ საქონელთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში), სასაქონლო ზედნადები, საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

7.5 პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტების დაგვიანებით მიღების შედეგად შემსყიდველისთვის წარმოქმნილი ყველა ხარჯისთვის ეკისრება მიმწოდებელს.

7.6 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის მიუღებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

## 8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მონაწილეობით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მიეთითება მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი.

8.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებეული საქონლის მიწოდებისას მხარეები შერჩევის მეთოდით ახორციელებენ მიწოდებული საქონლის ვიზუალურ დათვალიერებას

ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ინსპექტირებას, რის შემდგომაც დგება 8.1 პუნქტით გათვალისწინებული მიღება–ჩაბარების აქტი და მიწოდებული საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად.

## 9. გარანტია

9.1 საქონლის შემოწმების პროცესში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას ხარვეზის არსებობის შესახებ შეტყობინების შემდგომ დაუყოვნებლივ (ხარვეზის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად) და აანაზღაუროს საქონლის შემოწმების მიზნით შემსყიდველის მიერ დახარჯული თანხა.

## 10. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
2. ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
3. ანგარიშსწორების ვადა - საქონლის ყოველი ეტაპის მიღება-ჩაბარებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღე.

## 11. ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) საგადასახადო რეჟიმის შეცვლა;

ბ) ინფლაციის მაღალი დონე;

გ) საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.

ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ფასის ცვლილება აჭარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

## 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. თუ მიმწოდებელი: არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

12.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული

ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებული წესის შესაბამისად;

12.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

12.4. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

12.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.7 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

12.8 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

14.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 17. სხვა პირობები

17.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო სამი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## *18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო<br>ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №67ა<br>სს ,,საქართველოს ბანკი''<br>BIC კოდი: BAGAGE22<br>ა/ა GE20BG0000000122031300<br>ს/კ 202307404 | შპს ,,ფორმატი''<br>ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზ. #45<br>სს ,,პროეკრედიტ ბანკი''<br>BIC კოდი: MIBGGE22<br>ა/ა:GE77PC0183600100015840<br>ს/კ 204872575 |
| სააგენტოს თავმჯდომარის<br>მოადგილე<br>----------<br>ნინო ინწკირველი | შპს ,,ფორმატი''–ს<br>დირექტორი<br>----------<br>ვახტანგ გუგუნაძე |

დანართი №1

# ფასების ცხრილი

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | კალამი ბურთულიანი სხვადასხვა ფერის | ცალი | 20000 | 0.17 | 3,400.00 |
| 3 | კალამი სამაგრიანი სხვადასხვა ფერის (დასადგმელი, ზამბარიანი, ჯაჭვით) | ცალი | 600 | 1.20 | 720.00 |
| 8 | საშლელი დაფის მაგნიტით | ცალი | 30 | 0.90 | 27.00 |
| 9 | სახაზავი პლასტმასის | ცალი | 50 | 0.25 | 12.50 |
| 11 | ჩვეულებრივი ე.წ. ტექსტ" მარკერი სხვადასხვა ფერის | ცალი | 1000 | 0.45 | 450.00 |
| 12 | საკანცელარიო ჯამი პლასტმასის ერთგანყოფილებიანი | ცალი | 100 | 2.80 | 280.00 |
| 14 | ანტისტეპლერი | ცალი | 100 | 0.35 | 35.00 |
| 16 | სტეპლერი პატარა №10 | ცალი | 250 | 1.20 | 300.00 |
| 17 | სტეპლერი დიდი 24/6 | ცალი | 250 | 1.40 | 350.00 |
| 22 | ბეჭდის მელანი სხვადასხვა ფერი მინიმუმ 28 მლგ-იანი | ცალი | 30 | 0.50 | 15.00 |
| 24 | ორგანაიზერი (მეტალის) | ცალი | 100 | 4.50 | 450.00 |
| 25 | საკანცელარიო დანა დიდი | ცალი | 150 | 0.50 | 75.00 |
| 27 | მაკრატელი | ცალი | 250 | 0.80 | 200.00 |
| 28 | ფაილი, გამჭვირვალე ფორმატი ა4 100 ცალიანი | შეკვრა | 3000 | 2.75 | 8,250.00 |
| 31 | სტეპლერის სკობი (ტყვია №10 | შეკვრა | 2500 | 0.15 | 375.00 |
| 32 | სტეპლერის სკობი (ტყვია) დიდი 24/6 | შეკვრა | 2500 | 0.25 | 625.00 |
| 37 | ქაღალდის ჩასანაწშნი სხვადასხვა ფერი 84*84მმ 500 ცალიანი | შეკვრა | 1200 | 1.65 | 1,980.00 |
| 39 | წებოვანი ქაღალდის ჩასანიშნი სხვადასხვა ფერი 76*76მმ 100 ცალიანი | შეკვრა | 1000 | 0.40 | 400.00 |
| 44 | პლასტიკური სწრაფჩამკერი ა4 | ცალი | 3000 | 0.30 | 900.00 |
| 45 | ჩვეულებრივი (ღია) ბაინდერი აწყობილი | ცალი | 3000 | 1.80 | 5,400.00 |
| 47 | კორექტორი "ფუნჯი" | ცალი | 1000 | 0.60 | 600.00 |
| 50 | სკრეპი პატარა | შეკვრა | 1000 | 0.30 | 300.00 |
| 51 | სკრეპი საშუალო | შეკვრა | 200 | 0.40 | 80.00 |
| 54 | სკოჩი პატარა | ცალი | 200 | 0.10 | 20.00 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 55 | სკოჩი დიდი | ცალი | 500 | 0.80 | 400.00 |
| 62 | ჭიკარტი პლასტმასის 35-იანი | შეკვრა | 20 | 0.40 | 8.00 |
| 64 | მაგიდის კალკულატორი დიდი | ცალი | 50 | 7.00 | 350.00 |
| 66 | კონვერტი დიდი ა4 (22*31სმ) | ცალი | 50000 | 0.12 | 6,000.00 |
| 67 | კონვერტი საშუალო ა5 (16*23სმ) | ცალი | 60000 | 0.08 | 4,800.00 |
| 79 | საქაღალდე-ქაღალდის ბაფთიანი | ცალი | 3000 | 0.20 | 600.00 |
| 91 | ZEBRA S4M-ის სტიკერი: 51*25მმ რულონზე ამოკვეთილი სახით დატანილი | ცალი | 15540 | 0.12 | 1,864.80 |
| 92 | ZEBRA S4M -ის TT 60mm 450M | რულონი | 3 | 155.00 | 465.00 |
| 93 | ბლოკნოტი ა5 120 ფურცლიანი ყდა ტყავის შემცვლელი შავი ქართული | ცალი | 100 | 3.40 | 340.00 |
| | **ჯამი** | X | X | X | **40,072.30** |

შპს "ფორმატი"

ვ. გუგუნაძე

"FORMAT" LTD
TBILISI, GEORGIA
204872575